

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №463

2022 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2020, 270000000.10.003.021808) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების“:

1. მე-2 მუხლის:

ა) „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ინსპექტირება – შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ობიექტის მიმართ შრომითი ნორმების შემოწმებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

თ) განმეორებითი ინსპექტირება (რეინსპექტირება) – დარღვევის/დარღვევების გამოსასწორებლად მიცემული ვადის შემდეგ, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ობიექტის მიმართ განმეორებითი ინსპექტირების განხორციელება;“;

ბ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ნაწილობრივი ინსპექტირება – შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ ობიექტის ან/და დასაქმებულის მიმართ შრომითი ნორმების დაცვის მდგომარეობის ნაწილობრივ (სამუშაო სივრცის ნაწილი, კონკრეტული სამუშაო ადგილი, ტექნიკური აღჭურვილობა, ერთი ან მეტი შრომითი უფლება და ა.შ.) შემოწმება;“.

2. მე-6 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ობიექტის ინსპექტირება შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც ობიექტზე მისვლით, ასევე ობიექტზე მისვლის გარეშე, ყველა საჭირო ინფორმაციის, დოკუმენტის გამოთხოვისა და დასაქმებულთა ან სხვა პირთა გამოკითხვის გზით (მოთხოვნილი ინფორმაცია და დასაქმებულთა/მესამე პირთა გამოკითხვის საჭიროება უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს შრომითი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმებას).“;

ბ) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) იძულებითი შრომის ფაქტების გამოვლენის მიზნით, ინსპექტირების განხორციელებას, ხოლო სისხლის სამართლის ნიშნების (მათ შორის, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესაძლო ნიშნების) თაობაზე გონივრული ეჭვის არსებობისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ინფორმირებას;“.



3. მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ობიექტის საქმიანობის შემოწმება შეიძლება, განხორციელდეს გეგმური ან არაგეგმური წესით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ადგილზე მისვლით ან მის გარეშე.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹, 1² და 1³ პუნქტები:

„1¹. ობიექტის საქმიანობის შემოწმებისას თუ გამოიკვეთა, რომ შეუძლებელია ობიექტთან დაკავშირებული კონკრეტული ფაქტის დოკუმენტური დადასტურება ან/და არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც შესაძლებელია, უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებულ იქნეს სატელეფონო კომუნიკაციის გზით, აღნიშნულის თაობაზე შესაძლებელია შედგეს სატელეფონო აქტი.

1². სატელეფონო აქტი ასევე შესაძლებელია, შედგეს უფლებამოსილი პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაში მონაწილეობის უარის თქმის თაობაზე.

1³. სატელეფონო კომუნიკაციისას შრომის ინსპექტორი:

ა) ამოწმებს იმ პირის ვინაობასა და უფლებამოსილებას, ვისთანაც ხორციელდება სატელეფონო ზარი;

ბ) აცნობს პირს მის უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე განხორციელებული სატელეფონო ზარის სამართლებრივ შედეგებს;

გ) აკეთებს სატელეფონო კომუნიკაციის ჩანაწერს ფოტო-ვიდეომოწყოების მეშვეობით;

დ) ადგენს წერილობით სატელეფონო აქტს, ხოლო აქტის სისწორეს ადასტურებს სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერით (რომელიც ასევე უნდა ესწრებოდეს სატელეფონო საუბარს).“.

4. მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ობიექტის შემოწმების ჩატარების (მათ შორის, ობიექტზე მისვლის გარეშე შემოწმება), განხორციელების დროისა და ვადის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შრომის ინსპექციის ხელმძღვანელი.“.

5. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ობიექტზე, ადგილზე ინსპექტირება დაწყებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ობიექტზე შევა შრომის ინსპექციის უფლებამოსილი პირი და წარადგენს ინსპექტირების განმახორციელებელი პირის (პირების) სამსახურებრივ პირადობის მოწმობას, ხოლო ობიექტზე შესვლის გარეშე ინსპექტირების შემთხვევაში – როდესაც ობიექტის უფლებამოსილ პირს ჩაჰბარდება მოთხოვნა შრომითი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმების მიზნით საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ.“.

6. 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ და 3² პუნქტები:

„3¹. თუ ინსპექტირების შედეგად ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ გამოვლინდა ან/და არსებობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების გამომრიცხავი სხვა გარემოებანი, ინსპექტირების განმახორციელებელი პირი გამოსცემს დადგენილებას საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

3². ამ მუხლის 3¹ პუნქტით განსაზღვრული დადგენილების ფორმა და შევსების წესი განისაზღვრება მთავარი შრომის ინსპექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.



7. 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. გადამოწმება შესაძლოა, განხორციელდეს როგორც ადგილზე მისვლით (ობიექტზე არსებული სამუშაო სივრცის/ადგილის დათვალიერებით), ასევე მის გარეშე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

